№ 188

პარასკევი, 12 სექტემბერი, 1897 წ.

1877—1897

# ივერია

№ 188

პარასკევი, 12 სექტემბერი, 1897 წ.

**გაზეთი ღირს:**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 | 10 | — | 6 | 6 | — |
| 11 | 9 | 50 | 5 | 5 | 50 |
| 10 | 8 | 75 | 4 | 4 | 75 |
| 9 | 8 | — | 3 | 3 | 50 |
| 8 | 7 | 25 | 2 | 2 | 75 |
| 7 | 6 | 50 | 1 | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

„ივერიის" ტელეფონი № 227

რედაქცია: ნიკოლოოზის ქუჩა, 21. ტფილისი.

გაზეთის დასაბარებლად და განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ რედაქციას და წერა-კითხვ. გამავრც. საზოგადოების კანცელ ია.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვე შ... 16 კაპ., მეოთხეზედ—8 კაპ.

„ივერიის" ტელეფონი № 227

პირველ სექტემბრიდგან წლის დამლევამდე გაზ. „ივერია" ჰღირს 4 მან. 75 კაპ.

მღვდელი იოსებ ჯიჯავაძე ძმებით და დებით, ბარბარე კოზიაშვილისა და მარიამ კარბელაშვილისა, აუწყებენ-რა ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

**დედისას ოლღა დიმიტრის ასულის ჯიჯავაძისას,**

სთხოვენ მობრძანდნენ ნავთლუხში, საკუთარს სახლში.

პანაშვიდი გარდახდილ იქმნება 12-ს სექტემბერს დილის 11 საათზედ და საღამოს 6 საათზედ. მიცვალებულს გაასვენებენ წმ. ბარბარეს ეკკლესიაში შაბათს, 13 სექტემბერს, დილის 9 საათზედ. (2—175—1)

ადებ-მიცემა

**„შუამავალი"**

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ მან გამართა ახლად საყასბო და 10 ენკენისთვიდგან შეუძლიან ყველას შეიძინოს აქ ხორცი: ძროხისა, ცხვრისა, ღორისა და აგრეთვე ხბო, ბატკანი და ნანადირევი ყოველგვარი.

ხორცი იქმნება მუდამ ახალი და სრულიად წუნდაუდებელი. საყასბო სამაგალითოდ არის მოწყობილი. (3—6.—3)

**ქართული თეატრი**

ქართულის თეატრის ამხანაგობის გამგეობა ამითი საყოველთაოდ აცხადებს, რომ იგი დამდეგ სეზონისათვის **იწვევს** ყველა **სცენის მოყვარეთ**, რომელნიც მოისურვებენ ქართულ თეატრში სამსახურს. მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ გამგეობის წევრს **პავლე ყიფიანს** ყოველ დღე ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკში.

ამხანაგობის გამგეობა აგრეთვე სთხოვს ყველას, ვისაც-კი ორიგინალური, გადმოკეთებული, ანუ გადმოთარგმნილი პიესები აქვს, თავისის პირობებით წარმოადგინოს ამავე ადრესით. (10—6.—6)

დაიბეჭდა და ისყიდება ყველა წიგნის მაღაზიაში

**მ. ლალიძის** გამოცემული

ახალი თხზულება-პოემა

აკაკისა

**ნათელა**

(ძველებური ამბავი)

წიგნი დაბეჭდილია მშვენიერს ქაღალდზე, შეიცავს 72 გვერდს.

**ფასი თითო აბაზი.**

ვინც ამ წიგნს ერთად ნაღდ ფულზედ იყიდის გამომცემლისაგან ქუთაისში, დაეთმობა 20°/₀. მსურველთ ფასს-დადებითაც გაეგზავნებათ. (10—145—10)

ქართული თეატრი

ოთხშაბათს, 17 სექტემბერს,

ქართულ დრამატიულ არტისტ. წარმოდგენილი იქმნება:

„ვაის გავეყარე ვუის შევეყარე"

კომ. 3 მოქ., გადმ. ვალ. გუნიას-მიერ.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ჩერქეზიშვილისა, საყვარელიძისა, ბ-ნნი აბაშიძე, სვიმონიძე, გედევანოვი, შათირიშვილი და ადამიძე.

დასასრულ

**დივერტისმენტი**

მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნი განდეგილი, თავ. გრ. აბაშიძე, ბ-ნნი არ. ახნაზაროვი და ადამიძე.

ადგილების ფასი ჩვეულებრივი. (4—უ.—1)

## მთავრობის განკარგულებანი

—

დანიშნულ იქმნა სამსახურს გარეშე მყოფი პორუჩიკი თავადი დავით გურამიშვილი—გუბერნატორის საგანგებო საქმეთა უმცროს მოხელედ უჯამაგიროდ.

დათხოვნილ იქმნა განჯის გუბერნიის საერობო დარაჯის ინსპექტორი პოლკოვნიკი კობიაშვილი.

## ახალი ამბავი

—

⁂ ტფილისის გუბერნატორმა თ. ა. ბიკოვმა, პოლიცმეისტერის მასტიცკითურთ, 10 სექტემბერს დაათვალიერა მეტეხის ციხე. ბ-ნმა გუბერნატორმა დაიარა სათითაოდ ყოველი ოთახი, სახელოსნო, სამზარეულო, საავადმყოფო და სხვა.

⁂ მიწად-მოქმედებისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ ნება დართო საიმპერატორო და საბაღოსნო საზოგადოების კავკასიის განყოფილებას გაჰმართოს გამოფენა ბაღეულობისა ამ მიმდინარე წელს და ჯილდოები დაჰნიშნოს საუკეთესო მებაღოსნეთათვის.

⁂ ფინანსთა მინისტრს განკარგულება გაუცია, ამიერიდგან აღარავის არ მიეცეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებისა და ხაზინებიდგან მანეთიანისა, სამ მანათიანისა და ხუთ მანეთიანის ქაღალდის ფული. მათ მაგივრად მიეცემათ ლითონის ფული.

⁂ დღეს, 12 სექტემბერს, ტფილისის ოლქის სასამართლოში დანიშნულია განსახილველად ვაჭრის იოსებ ქავთარაძის საქმე, რომელსაც მევახშეობა ედება ბრალად.

⁂ საერო განათლების სამინისტროს განუმარტავს, რომ საპედაგოგიო საბჭოს გარდაწყვეტილებაზედ საჩივარი შეუძლიანთ შეიტანონ მშობლებს, თუ იმათი შვილები არ იქმნენ მიღებულნი უადგილობისა გამო, ოლქის სამოსწავლო გამგეობაში.

⁂ ტფილისის საბაღოსნო სასწავლებელში მისაღები ეგზამენები დანიშნულია 15 და 16 ოქტომბერს. წელს მარტო მოსამზადებელს კლასში მიიღებენ მოსწავლეთ. სწავლის დამთავრების ეგზამენები დანიშნულია 3 და 4 ოქტომბრისათვის.

⁂ საკვირაო სატეხნიკო კურსები ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის დარბაზში დაიწყება მომავალ კვირას, 14 სექტემბერს. ასწავლიან ხატვას, ხაზვას, ანგარიშს, ფიზიკას, ქიმიას, მეხანიკას, ორთქლის ქვაბების მეთვალყურეობას („კოჩეგარის" ხელობა), ჩარხზედ მუშაობას, და ჰიგიენას, ნახევარის წლის გარდასახადი 50 კაპ., ყველა საჭირო სასწავლო იარაღები უსასყიდლოდ მიეცემათ. კურსებთან ერთად იქმნება დაარსებული ცალკე კლასი, სადაც წერა-კითხვას შეასწავლიან მსურველთ უფასოდ. კურსებზედ ჩაწერა შეიძლება ყოველდღე ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის კანცელარიაში (ექსარხოსის მოედანზედ). იქვე შეიძლება შეტყობა კურსების შესახებ დაწვრილებითის ცნობებისა.

⁂ რადგან წელს რუსეთის შიდა გუბერნიებში პურის მოსავალი ძალიან ნაკლებად იყო, დონის როსტოვიდგან, ოდესიდგანა და სხვა ქალაქებიდგან ფქვილს ნაკლებად ჰგზავნიან ჩვენს ქვეყანაში. თუმცა ტფილისის საწყობებში აუარებელი ფქვილი ინახება, მოვაჭრეთ ფქვილის ფასს 20—30°/₀ მაინც მოუმატეს.

⁂ ტფილისში განუზრახავთ თანხა შეადგინონ და დააარსონ სტიპენდიები ტფილისისა და ქუთაისის გიმნაზიაში ტფილისის გუბერნატორად ნამყოფის თ. შერვაშიძის სახელობაზედ. სტიპენდიები მიეცემათ გიმნაზიაში სწავლის დამთავრების შემდეგაც უმაღლესს სასწავლებელში შესულთ. ეს განზრახვა ძლიერ მოსწონებიათ ბ ნ შერვაშიძესთან ნამყოფ მოხელეებსაც და თანხმობა გამოუცხადებიათ, რომ მონაწილეობას მივიღებთ ხელის-მოწერით ფულის შეკრების დროსაო.

⁂ მომავალს კვირას დაიწყება სწავლა საკვირაო სკოლებში, რომელ-ც იმყოფება: 1) ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკკლესიასთან, 2) ვერის წმ. ნიკოლოოზის ეკკლესიასთან და 3) ვერის პირველ-დაწყებითის სკოლის სადგომში. ამ სკოლებში ასწავლიან: სამღვრთო სჯულს, ქართულსა და რუსულს ენებს, სამშობლო გეოგრაფიას, ანგარიშსა და გალობას. სწავლა უსასყიდლოა. მეცადინეობა დაიწყება თერთმეტ საათზედ. მოსწავლეებად ჩაირიცხებიან როგორც დიდები, აგრეთვე პატარებიც, მაგრამ არა ნაკლებ თორმეტის წლისა.

⁂ კავკასიის სამოქალაქო უწყების სამკურნალო ნაწილის გამგეობას შუამდგომლობა დაუწყია სადაც ჯერ არს, რომ გაამრავლეთ რიცხვი ფერშლებისა ქუთაისის გუბერნიაშიო.

⁂ გაზ. „ს.-პეტერ. ვედ." სწერენ სურამიდგან, რომ აქ მომუშავე საფილოქსერო დასს დიდს წინააღმდეგობას უწევენ ადგილობრივნი მცხოვრებნი და ამ წინააღმდეგობის მიზეზი შეუფერებელი განაწილებაა იმ ფულისა, რომელიც ეძლევათ საფილოქსერო კომიტეტისაგან დაზარალებულთ. მაგალითად, ცხინვალის საბოქაულოში ერთმა მამასახლისმა მიიღო 60 მან. 300 ოთხ-კუთ. საჟენ გადამწვარ ვენახში და რამოდენმამე საწყალმა გლეხმა-კი 20 მან. 400-500 ოთხ-კუთხ საჟენზედ გაშენებულ გადამწვარ ვენახში. აი, ასეთი შეუსაბამობა აღელვებს ხალხს და ამხედრებს საფილოქსერო დასის წინააღმდეგაო.

⁂ გაზ. „არძაგანკის" სიტყვით, ამ დღეებში რუსეთის ერთ მდიდარ სომხის ოჯახობას გაუგზავნია კონსტანტინეპოლში სომეხთა პატრიარქის ორმანიანისათვის 10,000 ფრანკი დაზარალებულ სომეხთა სასარგებლოდ. ესევე ოჯახობა ჰპირდება ყოველ წლივ, 4 წლის განმავლობაში, უგზავნოს ამავე აზრით 10,000 ფრანკი.

⁂ ქუთაისი. ამ შემოდგომის პირველი სხდომა ქალაქის საბჭომ სამწუხარო დადგენილებით დააბოლოვა. გადასწყვიტა 16 ხმით 13-ის წინააღმდეგ, იკისროს შეკრება იმ ფულისა, რომელიც დააკლდება ხაზინისაგან გადადებულ თანხას სამეფო ადგილის საყიდლად, სადაც ოლქის სასამართლოსათვის შენობა უნდა იქმნას აგებული. ბევრი, რასაკვირველია, არ მოელოდა ამას და ბევრს უკვირს კიდეც ასეთი დადგენილება ქალაქის საბჭოსი, ამიტომ საჭიროა თავიდგან მოვყვეთ ამ, ქუთაისისათვის საჭირ-ბოროტო საგნის ამბავს. ჯერ ისევ შარშან მიჰმართა საბჭომ თხოვნით ხაზინას მოუმატოს გადაჭრილ ფასს (ხაზინამ გადასდო ყოველ საჟენის მიწის საყიდლად 5 მან.) ცოტა კიდევ, თუ ისეთი ადგილი ამოარჩია საყიდლად საბჭომ, რომლის პატრონებიც მეტს მოითხოვენ. ასეთი წინადადება არ შეიწყნარა გუბერნატორმა. შეეკითხნენ შინაგან საქმეთა მინისტრს ამ წინადადების შესახებ და პასუხად მოუვიდათ, რომ აგეთი დადგენილება, მიეშველოს ხაზინას ქალაქი ფულით ადგილის საყიდლად, სრულებით არ შეჰფერის ქუთაისს, იმ ქალაქს, რომელსაც არა აქვს საჭირო საავადმყოფოები, სკოლები, წყალი და სხვაო... ამის შემდეგ საბჭო მიჩუმდა, მაგრამ არ დასცხრნენ მცხოვრებლები. დადიოდნენ და ეძებდნენ უმჯობესს ადგილს, ზოგი ერთს ამჯობინებდა და ზოგი მეორეს. დაფაცურდნენ ბაზრის მცხოვრებლებიც და გადასწვიტეს, რომ კარგი იქნება ქალაქმა დაუთმოს ოლქის სასამართლოს, 50 ათასს მანათად ღირებული, სამეფო ადგილი 20 ათასად და სასამართლოს უწყებაც იძულებული იქმნება სწორედ აქ ააშენოს საჭირო სახლი, რადგან ქალაქის საუკეთესო ადგილი ეს არისო. საბჭოსაც მოეწონა ეს გარდაწყვეტილება, მაგრამ აი საქმე როგორ გახლავთ: ხაზინამ გადასდო ადგილის შესაძენად 16 ათასი მან. ამ ფულიდგან 6 ათასი მან. საჭიროა რიონის ნაპირების შესამაგრებლად და ქალაქს დარჩება 10,000 მ. ქალაქმა-კი 20,000 მ. მაინც უნდა აიღოს სამეფო ადგილში, მაშასადამე,

დააკლდება 10,000 მ. აი, ამ ფულის შესაკრებად დაფაცურდა საბჭო, სურვილიც ბევრმა გამოაცხადა ფულის შემოტანისა და ხელიც მოაწერეს. დაიწყო ფულის შეგროვება და 5,000 მან. მოუყარეს თავი რის ვაი ვაგლახით, დანარჩენი ფულის შეგროვებაც საბჭომ იკისრა. 6 აგვისტოს საგანგებო კრება იყო დანიშნული. ბევრი ილაპარაკეს „ბაზრის" წარმომადგენლებმა, რომ უსათუოდ საბჭომ იკისროს ამ ფულის მოგროვება, რადგან საგარაკოდ წასული ხელის-მომწერლები ჩამოვლენ და შემოიტანენ თავიანთ ხვედრ ფულსაო, მაგრამ საბჭომ რამდენისამე ხმის უმეტესობით უარ-ჰყო ეს წინადადება. გაიარა ერთმა თვემ, ჩამოვიდნენ მეაგარაკენი ქალაქში, გამოცხადდნენ საბჭოში, მაგრამ ფულის შესატანად-კი არა, იმიტომ, რომ თეთრი კენჭი ჩაეგდოთ ყუთში და ქალაქისათვის დაეკისრებინად შევსება საჭირო თანხისა ადგილის საყიდლად („ნოვ. ობოზ.").

*** ქ. ფოთი. არ იქმნა და არ გაკეთდა მდინარე მალთაყვის ხიდი, რომ გურიიდგან მომავალმა ხალხმა უხიფათოდ იაროს ჩვენს ქალაქში. სწორედ ეს უხიდობაა მიზეზი, რომ ბათუმში წასვლას არჩევენ ხოლმე ახლო-მახლო მცხოვრებლები, თუ რამ გასაყიდი და საყიდელი აქვთ, ვიდრე აქ. ხშირად შეხვდებით მგზავრს, რომელმაც თხუთმეტი დღე იცადა თურმე მალთაყვას ნაპირას და ბოლოს რის ვაი-ვაგლახით ეღირსა გადმოსვლას აქეთ ნაპირისაკენ. არა ერთხელ და ორჯელ უმსხვერპლია ადამიანიც ამ მდინარეს, მაგრამ დღემდის არავინა ჰფიქრობს ბოლო მოუღოს როგორმე ხალხის გაჭირვებას.

*** ქუთაისი. დიდი იმედი გვქონდა იმერლებს მოსავლისა, მაგრამ გაგვიმტყუნდა. როდესაც გვეგონა, რომ აქაურ ადგილის სიცოტავესთან კარგა მოსავალი გვექნებაო, სწორედ მაშინ წამოუქროლა ზენა (აღმოსავლეთის) ქარმა და ძლიერ შეაფერხა ჩვენის მოსავლის რაოდენობა. სიმინდი დაამტვრია და ხის ვენახმა თქვენი ჭირი წაიღო. ვისაც დაბლარი ვენახი ჰქონდა, იმათ არა უშავსრა. რთველი აქეთ უკვე დაიწყო და ამ ორ კვირაში კიდეც გათავდება.

*** ს. დვალიშვილები, (ქუთაისის მაზრა). მშვენიერი ადგილ-მდებარეობა აქვს ამ სოფელს. გარეშემო ახვევია ტყით შემოსილი გორაკები და შიგ შუა სოფელში ჩამოდის პატარა მდინარე სილორი რომელშიაც აუარებელი კალმახი ჰბუდობს. სოფელშივე ამოჩუხჩუხებს სამკურნალო წყლები და ახლო-მახლო სოფლებიდგან მოდიან საბანებლად ქარებით ავადმყოფები. მაგრამ მოუწყობლობა აბანოებისა და მეტის-მეტად წამხდარი გზა აფერხებს ბევრს შორეულს სოფლებიდგან მოსვლის მსურველს. სოფ. ისრითიდგან მოყოლებული თვით აბანოებამდე ისეთი გზაა, რომ ძნელად თუ გაჰბედავს მოგზაურობას შეუჩვეველი მგზავრი. თუმცა გზების შეკეთება მამასახლისების მოვალეობაა, მაგრამ დღემდის არავის უზრუნია ამისთვის და ეხლა მაინც იმედია, ახლად ამორჩეული ვანის საზოგადოების მამასახლისი ყურადღებას მიაქცევს ამ გზას და ჯეროვანს განკარგულებას მოახდენს, რომ ეს ერთად-ერთი გზა შეკეთებულ-შესწორებულ იქმნას.

*** სოფ. ხორენია, (ახალქალაქის მაზრა). ჩვენს სოფელში რაღაცა მოარული მოედო ხალხს. თხუთმეტი კომლი მეტი ავად არის და ორი-სამი კაცი კიდეც იმსხვერპლა, მაგრამ აგერ ეს ერთი კვირაა, რაც აბული ჩამოთოვა და იმედია ყინვები გადაგვარჩენს ყოველს განსაცდელს.

წელს მთელს ჯავახეთში პურის და ქერის ძალიან კარგი მოსავალია, თუ საუკეთესო არა, შუათანა მოსავალზედ უფრო მეტად ჩაითვლება. ამ ჟამად ქერი ექვს მანეთად და პური თორმეტ მანეთად ჰფასობს სომარი. წელს თრიალეთზედ მთლად ცხვარს თურქული მოედო და თუმცა მთებზედ ჩამოთოვა, მაგრამ ცხვარი ჯერ არ დაძრულა, იქნება სიცივემ არგოს.

*** ტფილისის მაზრის მცხოვრებელმა ალექსი მაჭავარიანმა განაცხადა პოლიციის პირველს განყოფილებაში, რომ საწვრილმანო დუქნიდგან, წყნეთის ქუჩაზედ, სულაძეს სახლში, ღამე 7 სექტემბერს მომპარეს ახალუხი, რომელშიაც 600 მანეთი ფული მქონდაო. ეჭვი მაჭავარიანმა ტფილისის მცხოვრებელ თედო მაისურაძეზედ მიიტანა, რომელიც მაშინვე შეიპყრეს. მაისურაძე გამოტყდა, მე მოვიპარე, მაგრამ ახალუხის ჯიბეში, 600 მან.-კი არა, 150 მანეთი იყოო, რომელიც გავფლანგეო. მაისურაძე დაპატიმრებულია.

## დაბა და სოფელი

(მოწერილი ამბები)

**დ. გუდაუთი** (აფხაზეთი). ჩვენი დაბა აშენებულია შავის ზღვის აღმოსავლეთ ნაპირის მშვენიერ მაღლობს ადგილზედ და თავისის ადგილ-მდებარეობით მთელს აფხაზეთში ერთი საუკეთესოთაგანია: ცივებ ცხელება, ეს გამანადგურებელი სენი აფხაზეთის მკვიდრთა, აქ, ცოტა არ იყოს, მალა-მოკლებულია; ხოლო თუ გაიკაფა გუდაუთის გარშემორტყმული ტყეები და ნაწვიმარს მიეცა ზღვისაკენ თავისუფალი სადენი გზა, მაშინ ამ მხრივ ჩვენს ბედს მაღლიც არ დაჰკვეფს. წყალით ჩვენი დაბა დაჯილდოებულია: თითქმის ყოველ მოსახლეს ეზოში აქვს სასმელი წყალი, მახლობელ წყაროდგან მილებით გამოყვანილი. ისე კი აღმოსავლეთით ჩვენს დაბას ჩამოუდის პატარა მდინარე გუდოუ (აფხაზურად-დიდგულა), რომლისაგანაც მიიღო თავისი სახელ-წოდება გუდაუთამ. ეს მდინარე, ცოტა არ იყოს, ხელს უწყობს ციებ-ცხელებას, რადგანაც შესართავთან მისი კალაპოტი თითქმის ზღვისდონეზედ (уровень) უფრო დაბალია, რის გამოც აქ გუბდება წყალი და ჭაობს შხამავს. ამ ჭირსაც ეშველება, დაბას რომ შეძლება ჰქონდეს: მისი გადაგდება და სხვა კალაპოტის მიცემა ადვილია; გარნა ეს ჩვენთვის ჯერ საოცნებოა! დასავლეთით აგრეთვე რწყავს დ. გუდაუთს გუდოუზე უფრო პატარა მდინარე „ამლაგარამა" (წისქვილის წყალი).

ამ 16—17 წლის წინად ის ადგილი, სადაც ეხლა ჩვენი კოპწია დაბა ამაყად გამოიყურება, წარმოადგენდა გაუცხითა და ტყით შემოსილს ადგილს, სადაც ტურათა ჩხავილისა და ბაყაყთა ყიყინის მეტს ვერას გაიგებდა ადამიანის ყური. ხოლო დატრიალდა მარჯვე ქართველის (მეგრელის) ხელი და ფული, გაიკაფა ტყეები, გაიმართა სწორი და განიერი ქუჩები, აშენდა დუქნები და სახლები, მილებში მშვენიერმა ანკარა წყარომ დაიწყო დენა! იქ, სადაც 16—17 წლის წინად ტურათ ჩხავილისა და ბაყაყთა ყიყინის მეტს ვერას გაიგონებდით, ეხლა სიცოცხლე სდუღს და გადმოდის, რამდენადაც ეს შეიძლება ითქვას ამისთანა პატარა დაბაზე, და იქ ისმის ეხლა ქებათა ქება ღვთის მიმართ შედარებით მშვენიერს ეკკლესიაში! ეს სულ ქართველობის მეცადინეობით, ოფლითა და ჯაფით-ღონით.

ჩვენის დაბის მცხოვრებნი ეხლა ასე განაწილდებიან: 50 ქართველი მკვიდრია (ერთი იმერელი, ორი გურული, დანარჩენი მეგრელობა), 13 ბერძენი, 11 რუსი, 5 აფხაზი და 2 სომეხი. ჩვენი დაბა ერთად ერთი სავაჭრო ადგილია მთელს გუდაუთის ნაწილში, რომელსაც სიგძით 90 ვერსი და სიგანით 15—30 ვერსი ადგილი უჭირავს და შესდგება 12 აფხაზთა საზოგადოებისაგან, 3 რუსისა და ერთიც სომხურისაგან. აღებ-მიცემა თითქმის მთლად ქართველობის ხელშია. ამათ გარდა, ჰვაჭრობენ სომხები, ბერძნები და თათრები. საალებ მიცემო საგნებია: სიმინდი, ხე-ტყე (ნიგვზის ხე, ბზა და სხვა), ხილეულობა (კაშლი, მსხალი, ნიგოზი, ბროწეული), ღვინო და თამბაქო. ამ უკანასკნელ წლებში დაიწყეს აქ სომხებმა თამბაქოს მოყვანა, რასაც ძალიან გასავალი აქვს. თამბაქო მოჰყავთ აქაურ მემამულეთა ადგილზედ.

აქ ორი სკოლაა: ერთი ერთ-კლასიანი სამინისტრო და მეორე ახლად შობილ მეორე-კლასიანი, სამოსწავლო-სამრევლო სკოლა, რომელიც გვპირდება სოფლის მასწავლებლების მომზადებას.

აქ 1895 წლის იანვრიდგან თ. ი. გოგიტიძის მეცადინეობით სამკითხველო არსებობს. იმედია, აწინდელი მოთავე სამკითხველოსი ბ. ს. ელიავა პირ-ნათლად წარუძღვება თავისს ნაკისრს მოვალეობას, როგორც აქამდის უძღვებოდა, რისთვისაც საზოგადოება დიდი მადლობელი დარჩება.

ჩვენის დაბის უმთავრესს ნაკლად უნდა აღვიაროთ ნასწავლ და გამრჯე ახალგაზდობის უქონლობა. თუ ერთი-ორი ვინმე გვყავს, მათ შორისაც ცოტა ტისა არ იყოს, „ძმამ მოუდვა ძმასა ხიშტი"... და „რა ორივე დაღალულნი ძალმა ჰნახოს, პირი ჰკიდოს!"... და თუ ურთი ერთობაში რამე მისვლა-მოსვლა გვაქვს, ისიც ნუნუას და ბანქოს წყალობით.

ილიკო ვერმიცანაშვილი

## რუსეთი

—

რუსეთის სამხრეთ გუბერნიების სამასმა მასწავლებელმა შუამდგომლობა აღძრა მიწად-მოქმედების და სახელმწიფო მამულების სამინისტროს წინაშე იმის შესახებ, რომ მალე იქმნას დაარსებული რამდენიმე საბრეშუმო სკოლა და სადგური.

— რუსეთის მთავრობას ამ ჟამად მოლაპარაკება აქვს სპარსეთის მთავრობასთან იმის შესახებ, რომ გაუქმებულ იქმნას ზოგიერთი კერძო გარდასახადი, რომელსაც სპარსეთის მთავრობა იღებს იქ მიტანილს რუსეთის საქონელში. თავისის მხრით რუსეთის საფინანსო უწყება ჰპირდება სპარსეთს ზოგიერთ შეღავათს რუსეთის ნაწარმოების სპარსეთში გადატანისათვის.

— მეურნეობისა და სახელმწიფო ქონებათა სამინისტრომ დაადგინა არ დაუცადოს გარდაწყვეტილებას სასოფლო-სამეურნეო სკოლების გადაკეთების შესახებ და ეხლავე დააარსოს სასოფლო-სამეურნეო სკოლებთან სახელოსნო კურსები. ამ კურსებში ყმაწვილების გარდა მოზრდილ გლეხებსაც მიიღებენ.

— რუსეთის გაზეთები სწერენ, რომ საგანგებო კომისიამ უნდა განიხილოს თხოვნა ყირიმისა, ბესარაბიისა და ამიერ-კავკასიის თამბაქოს პლანტაციების პატრონებისა იმის შესახებ, რომ მთავრობა დაეხმაროს საუკეთესო ხარისხის თამბაქოს მოყვანაში. პლანტაციების პატრონები ამტკიცებენ, რომ რადგანაც ოსმალეთიდგან მოტანილი თამბაქო, სახელად „რევუზი", სულ 30 მანათად ჯდება ფუთი, ამიტომ ჩვენი თამბაქო მეტოქეობას ვერ უძლებსო. გარდა ამისა საჭიროა, მოისპოს ის გარდასახადი, რომელიც ეხლა ერთმევა თამბაქოს პატრონებს თითოეულ გამართულს საწყობშიო.

## უცხოეთი

—

**ავსტრია.** მთელის ავსტრიის ჟურნალ გაზეთობა ამ ჟამად პარლამენტის მომავალ კრებების შესახებ ლაპარაკობს. ჩვენმა მკითხველებმა უკვე იციან, რომ გერმანელების და სლოვიანების შერიგება არას გზით არ მოხერხდა და ეხლა ყველა გაკვირვებულია, როგორ უნდა იწარმოოს საქმეებმა პარლამენტში, სადაც ამ გადამტერებულის ხალხის წარმომადგენლები იქმნებიან. ამ შემთხვევაში გაზეთები ორ დასად არიან დაყოფილნი: მთავრობის მომხრე გაზეთები ამტკიცებენ, რომ ყოველივე მშვიდობიანად ჩაივლის და საქმეს არაფერი შეაფერხებსო, ხოლო მოწინააღმდეგე დასის გაზეთები გაიძახიან, რომ შეტაკება და საშინელი ბრძოლა პარლამენტში აუცილებელიაო. „შეუძლებელიაო, ამბობს, მაგ. გაზ. N. Wien. Tagebl.", — რომ გერმანელებმა დაუთმონ ჩეხებს და პარლამენტში დიდი წინააღმდეგობა არ გაუწიონ მთავრობას. ისინი არასოდეს არ აღიარებენ ჩეხელთა კანონიერს უფლებათ. ჯერ ეხლა გერმანელები სცდილობენ სისრულეში არ მოიყვანონ გრაფ ბადენის განკარგულება ჩეხელების ენის შესახებ და მაშინ სულ უარესს იზმენ. მორავიაში შუათანა სკოლების მართველობამ პირდაპირ განაცხადა, ვერ შევიწყნარებთ ბადენის განკარგულებასაო, და კიდეც აღასრულა თავისი სურვილი. გარდა ამისა, მოწინააღმდეგე დასს აზრადა აქვს შეიტანოს პარლამენტში სამი წინადადება ზოგიერთის მინისტრის წინააღმდეგ, რომელთაც აბრალებენ გერმანელების ძალ-მომრეობას. თუ მართლა გერმანელებს აზრადა აქვთ შეიტანონ ასეთი წინადადება, ჩეხელებს ის-ღა დარჩენიათ, იმათაც შეატყობინონ პარლამენტს ის უწესოება და ძალ-მომრეობა, რაც გერმანელებმა ჩეხელების წინააღმდეგ ჩაიდინეს. ამ რიგად პარლამენტში განახლდება ეროვნული ბრძოლა, რომლის გამო მთავრობა იძულებული იყო 2 ივნისს პარლამენტის წევრნი დაეთხოვა და რომელიც მთელის ზაფხულის განმავლობაში არ შეწყვეტილა ავსტრიის სხვა-და-სხვა ადგილას".

—

**საბერძნეთი.** ათინიდგან სწერენ გაზ. „Daily Nevs"-ს: იმის მიუხედავად, რომ მოლაპარაკება საბერძნეთსა და ოსმალეთს შორის ზავის შესახებ კარგად მიდის და დღე დღეზედ დასრულდებაო, მეფე გიორგი მაინც კმაყოფილი არ არის და ამბობს, რომ სამეფო დიდს განსაცდელშიაო. კორესპონდენტის სიტყვით, მეფეს აზრადა აქვს ზავის ხელშეკრულობის დადების შემდეგ საერო კრება მოიწვიოს, იმ საშუალებათა შესამუშავებლად, რომელნიც საბერძნეთს გაჭირვებულ მდგომარეობიდგან გამოიყვანენ.

— საბერძნეთიდგანვე იუწყებიან, რომ პარლამენტის კრებები მომავალ კვირას დაიწყება და პირველად ზავის ხელშეკრულების განხილვას შეუდგებაო. თუმცა ათინაში დიდად წინააღმდეგნი არიან იმისა, რომ საბერძნეთის ფინანსებს ზედამხედველობა დაენიშნოს, მაგრამ მოსალოდნელია, რომ პარლამენტი დიდს დაბრკოლებას არ გაუწევს ევროპასა და ამ წინადადებას მაინც შეიწყნარებს.

## დამაკვირდი

თავისის თავის მკვლელს სატირელი არა აქვს-რა: ვინც ჯერ კიდევ გამოსადეგია სიცოცხლისათვის, იგი არა ჰკვდება, ხოლო ვისაც სიცოცხლე კიდევ გამოადგება. ის იმას ისე ადვილად არ გასწირავს.

*

***

სახელოვანი, კი არა კვდება, მხოლოდ გვშორდება; მკვდარია მარტოის, ვინც ყველამ ადვილად დაივიწყა.

ხეიდლიცი

***

იშვიათად აქვთ კამათი ჭეშმარიტების არსის შესახებ, უმეტესად სჯა და ბაასი ჭეშმარიტების საზღვართა გამო ასტყდება ხოლმე.

ბიორნე

### ჟურნალ-გაზეთებიდგან

(ამოკრებილი ამბები)

მოგეხსენებათ, რამდენად გამოსადეგი აღმოჩნდა მეცნიერებისათვის რენტგენის მიერ აღმოჩენილი სხივები ანუ სინათლე. ეხლა გერმანულ გაზეთებში შემდეგი საყურადღებო ამბავია დაბეჭდილი. მიუნჰენში ერთს ოჯახში უპოვნიათ ძველი სურათი მაცხოვრისა. ამბობენ, ეს სურათი სახელოვანის მხატვარის ალბრეჰტ დიურის მიერ არის დახატულიო. სურათი მეტად კარგია, მაგრამ ზოგს მაინც ეჭვი ჰქონდა აქამდე, იქმნება ეს სურათი დიურისა არ არისო. ამ საქმის გამოსარკვევად მიჰმართეს რენტგენის სინათლეს. მიაფინეს სურათს ეს სინათლე და დაინახეს, რომ ზედ დიურერის გვარი აწერია და აღნიშნულია 1521 წელი. გარდა ამისა ამავე სინათლის მეოხებით ნათლად დაინახეს ისეთი ნიშნები, რომელიც სიძველისა გამო აღარა სჩანდა. ამ გვარად დარწმუნდნენ, რომ სურათი მართლა ალბრეჰტ დიურერის მიერ ყოფილა დახატული.

***

პარიჟსა და სხვა დიდ ქალაქებში განზრახვა აქვთ გამართონ ქარხნები და ამ ქარხნების შემწეობით გამოიყენონ ყოველ გვარი ნაგავ-ნუგავი, რომელსაც ქალაქის მცხოვრებნი გადაჰყრიან ხოლმე. თუ რამდენად არის გამოსადეგი ასეთი ქარხნები და რა სიმდიდრეს წარმოადგენს დიდის ქალაქების ნაგავი და ნაყარ-ნუყარი, შემდეგის ცნობე-

ბიდგანა სჩანს. ლონდონში ყოველ წლივ აგროვებენ ქუჩებში: ძველ ქაღალდს 14,800 ფრანკისას (ოთხი ფრანკი ერთს მანათს უდრის), ჩვრებს—1,200 ფ., დამტვრეულ ბოთლებს—2,700 ფ., კანაფებსა და თოკს—4,500 ფ., პრობკებსა და წმინდა სამთელს—(სანთელს ადნობენ)—1,400 ფ., შუშის ნატეხებს—2,400 ფ., ჩოთქებს—100 ფ., ძველ წიგნებს—700 ფ., ძვლებს—900 ფ., სპილენძს—500 ფ., ტყვიას—600 ფ., ცინკსა და კალას—400 ფ., შუშას—400 ფ., დამტვრეულ დანებსა და ძველ ფეხსაცმელს—800 ფ., რეზინას—100 ფ., სულ ყოველ წელიწადს გროვდება 60,000 ფრანკად ღირებული ნაყარ-ნუყარი. ძველ ქაღალდსა ჰგზავნიან ჰოლანდიაში და იქ ახალს აკეთებენ, ძველ პრობკებისგანაც ახლებს აკეთებენ, შუშას ხელ მეორედ ადნობენ და სხვ. ერთის სიტყვით, ზემოხსენებულ ნაყარ-ნუყარისაგან არაფერი იკარგება და ყველაფერს ხელმეორედ გამოიყენებენ ხოლმე. ასე გასინჯეთ, ცეცხლში რომ დასწვავენ ხოლმე მჩვრებსა და ნაყარ-ნუყარს, იმის ნაცარიცკი გამოსადეგი ყოფილა. ამ ნაცრისაგან ცემენტს აკეთებენ და შენობებისათვის ხმარობენ.

* * *

ერთს ამერიკელს გამოუგონია ისეთი მანქანა, რომელიც კალამს მიემაგრება და ქაღალდს გაანათებს. ამ მანქანის მიმაგრება კარანდაშზედაც შეიძლება. ამ გვარად თუ საჭიროებამ მოითხოვა, კაცმა ღამე დასწეროს რამ და სინათლე-კი არსაიდგან არის, ამოიღებს ჯიბიდგან ამ მანქანას, მიამაგრებს კალამზედ ან კარანდაშზედ და დასწერს. ეს გამოგონება, რა თქმა უნდა, ძლიერ სასარგებლოა, მაგრამ... მაგარი ის არის, რომ მეცნიერნი ასე ამბობენ, ამ მანქანის ხმარებით კაცს მალე გაუფუჭდება თვალები და დაბრმავდებაო. თუ ასეა, ისევ ისა სჯობიან, კაცმა სანთელი მონახოს და ისე სწეროს, ვიდრე ახალ მანქანის წყალობით თვალის ჩინს გამოეთხოვოს.

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

„ბავშვების მოკეთე“, შედგენილი ალ. ნათაძის მიერ

გამოვიდა ბ-ნ ნათაძის შედგენილი სახელმძღვანელო „ბავშვების მოკეთე“: წინ დიდი მითქმა-მოთქმა უძღოდა პოლემიკის სახით, მაგრამ იმის შემდეგ-კი, რაც ეს წიგნაკი მზეს დაენახვა, ყველანი ჩაჩუმდნენ, ხმას არავინ იღებს, თუ ბ-ნ ბოცვაძის შენიშვნას და თვით ნათაძის თავისის წიგნის შესახებვე გამართულს საუბარს ანგარიშში არ ჩავაგდებთ.

მეც, როგორც ქართულის მწიგნობრობის ერთი მოყვარეთაგანი, დიდის ინტერესით ვადევნებდი თვალყურს გამწვავებულს პოლემიკას და მოუთმენლად ველოდი სახელმძღვანელოს დაბეჭდვას, მით უმეტეს, რომ გადაჭარბებულს ძაგებასთან გადაჭარბებულსავე ქება-დიდებას ვკითხულობდი, განსაკუთრებით მუდამ ყურში მედგა თვით ნათაძის ნათქვამი სიტყვები: „ალ. ნათაძე ისეთს არაფერს შეადგენს, რომ იმის სახელს ცოტაოდენი მური მოეცხოსო“. თუმცა ეს საზღვარ გასული თავის ქება, რომელიც ხალხის თქმით თავის ტეხვას წააგავს—ჯერ არ მომეწონა, მაგრამ მოვიგონე რა დიდებულ ბაირონის საზღვარ გასული ამაყობა, ნაპოლეონის დიდგულობა, იმ ნაპოლეონისა, რომელსაც ბარათაშვილი ათქმევინებს: „მაშინ საფლავიც მევიწროვოს, თუ ტოლი მყავდესო“—ენა მოვიკვნიტე და გულ-დადინჯებული ველოდდი წიგნის დაბეჭვდას. ღვთისა და თქვენის წყალობით, მკითხველო, მოვესწარი კიდეც ამ დღეს: გამოვიდა „ბავშვების მოკეთე“, მეც ვიყიდე და გადავიკითხე, რათა უდროვო დროს ატეხილი დავა-აყალ-მაყალის მედიატორედ სხვის დაუკითხავად და ამოურჩევლად მეც გავმხდარიყავი, რადგანაც ყმაწვილების სწავლება აღზრდაში მეც მიძევს ცოტაოდენი წილი.

ვიდრე თვით სახელმძღვანელოზედ ვიტყოდეთ რასმეს, ნება მიბოძეთ, მოგაგონოთ ყველასაგან ჭეშმარიტებად აღიარებული, რომ მწერლობაში საზოგადოდ და სახელმძღვანელოებში კერძოდ ენის სიფაქიზეს, ან წმინდა ლიტერატურულს, ან წმინდა ხალხურ კილოს—უპირველესი ადგილთაგანი უჭირავს, ვინაიდგან ენა არის ის მადლი, რომლის შემწეობითაც კაცი ეჩვევა აზროვნიბას. ენის სისპეტაკესაგან არის დამოკიდებული აზროვნობის სისპეტაკეც. თუ ასეთი მნიშვნელობა აქვს ენას საზოგადოდ, მაშინ იმისი ასეთი მნიშვნელობა ყმაწვილებისათვის შედგენილს სახელმძღვანელოში უფრო ორ-სამ კეცდება, რადგანაც ამ სახელმძღვანელოს ენას ყმაწვილების ენის სიავკარგეზედ დიდი გავლენა აქვს. ამიტომაც სახელმძღვანელოს შემდგენელი მოვალეა ზნეობრივად არამც თუ თითონა სწეროს ფაქიზის ლიტერატურულისა და ხალხურის ენით, არამედ ლიტერატურულ ნაწარმოებიდგან, პროზა იქნება თუ პოეზია, და ხალხის ნაწარმოებიდგან, ისეთი მასალა უნდა ამოიღოს, რომელიც ამ ძირითადს მოთხოვნილებას სავსებით აკმაყოფილებს.

აბა ახლა ვნახოთ რამდენად მოსაწონ-დასაწუნია „ბავშვების მოკეთე“ ენის მხრივ და შემდეგ შეიძლება ხსენებულ სახელმძღვანელოს სხვა მხრივაც შევეხოთ.

მე თავიდგან მოვყვები და იმ სიტყვებსა და წინადადებათ ამოვწერ, რომლებიც, ჩემის აზრით, უხერხულად, ან სულ უკანონოდ არის ნახმარი. ამით მე ამოწერა გამიადვილდება და არც მკითხველისათვის იქნება ურიგო, თუმცა აქვე უნდა შევნიშნო, რომ ყველა უხერხულად ნახმარი სიტყვა-წინადადების ამოწერა და გასწორება ყოვლად შეუძლებელია.

სახელმძღვანელოს მე-28 გვერდზედ ბ-ნი ნათაძე სწერს: „ვენახში ყურძენი შემოსულა და აკიდოს მოუტან ჩემს ავადმყოფს დასა.“ იქნება ამბობდნენ სადმე, „ყურძენი შემოსულაო“, მაგრამ მე კი მთელს საქართველოში არსად გამიგონია. ყველგან ასე ჰხმარობენ: „ყურძენი მოწეულა ან დამწიფებულა.“—„საცოდავი ჩემი და ნუცა, ეს ორი დღეა მის პირს ნაყრი არ უნახავს (იქვე). ამ „ნაყრი არ უნახავს“ ვერც იმერეთის და ვერც ამერეთის ბავშვი ვერ გაიგებს! მაშ ვილასთვისაა დაწერილი? —„გახმა ცაცხვი, გახმა სოფლის დამშვენებელი“. (32)—მე მგონია, რომ აქ შეცდომაა: უნდა იყოს „სოფლის დამამშვენებელი“.

ჩვენ ყველანი უსწავლელნი და ნასწავლნი ვხმარობთ კარანდაშს, ასევე ხმარობს ბ-ნი გოგებაშვილი „დედა-ენაში“ „ბავშვების მოკეთის“ ავტორს კ—ყ-ად გადაუკეთებია და სწერს ყარანდაშს. ჩემის ფიქრით პირველი სჯობს.

„კურდღელმა სთქვა: „ღმერთს შევცოდე,
უქმე გავტეხე კვირესო“. (41 გვერ.).

მე არ მესმის, რას ნიშნავს ეს „კვირესო“, და დარწმუნებული ვარ, რომ ვერც გურული და ვერც კახელ-ქიზიყელი გაიგებს. იმავე ლექსში სწერია:

„იქ თურმე სუნი სცემოდა
ვილაც წუწკ მონადირესო,
მომძებნეს, დამიძაცხუნეს,
მიკივლეს, მომაყვირესო...
ფეხით დამკიდეს თავ-დაღმა,
კერაზე მიმაშვირესო,
შემწვეს და ჩამახრაკუნეს,
და დედა ამიტირესო“.

ხაზ გასმული სიტყვები მე უხერხულად მიმაჩნია. იქნება ბ-ნმა ნათაძემ ჰბრძანოს, ხალხური ეს არის, და მე რა ვქნაო, მაგრამ ნებას ვითხოვთ მოვახსენოთ ახალგაზდა პედაგოგს, რომ ხალხის ნაწარმოები ყველა ხელის ხელ საგოგმანები მარგალიტები კი არ არის, ზოგიერთი ხალხური ლექსი გარეგანის სახითაც და აზრითაც ყოვლად საძაგელია. აქ ყველაზედ საჭიროა ძლიერი პედაგოგიური ალღო, ბელინსკისებური კრიტიკის ცხრილ-ტაბაკი, რომ ქვამიწა-ბზე ნარევ პურიდგან მსუქან-მსუქანი სადი მარცვლები გამოარჩიოს...

„ციკნებსა და მგელში“, რომელიც ავტორს ძალიან მოსწონებია და ამიტომაც უთარგმნია რუსულიდგან, ასეთი ლექსი არის:

„დედა ვარ თქვენი, რძე მომაქვს,
მინდვრიდგან მოკიარები..(?)... ან
ცურში რძეს ვეღარ ვიკავებ
და ცივ მიწაზედ მიდისო“(43 გვ.)

ნეტა ისიც შეეტყობინებინა ჩვენთვის ბ-ნ ნათაძეს ეს „მოკიარები“ ვინ უთარგმნა?..

მე 44 გვერდ. სამეურნეო იარაღებში ჩამოთვლილია, სხვათა შორის: „დანა, ჯაყვა“ და სხ... ამ „ჯაყვამ“ ცოტა შემაფიქრიანა, რადგანაც მე კარგად ვიცი სადა და რას ეძახიან, მაგრამ მაინც „ბავშვების მოკეთის“ ლექსიკონში ჩავიხედე. იქა სწერია: —ჯაყვა—დანა.—ვინც ჯაყვას მნიშვნელობა არ იცის, გაკვირვებული დარჩება. თუ ჯაყვა და დანა სულ ერთია, მაშ რიღასათვისა სწერდა. თუ იმის სამცნოდ, რომ გურიაში, მაგალითად, ჯაყვას ჰხმარობენო ერთ გვარის დანის ნაცვლად, მაშინ რატო „ბუკიც“ არ დაწერა, რომელიც „სკას“ ნიშნავს ან ბარჯგი—ბოძი, აბდალი—ჩერჩეტი, თაველი—თავთავი და სხ... იქნება ცნობის მოყვარე მასწავლებელ-შეგირდებმა ჩუბინაშვილის ლექსიკონსაც მიჰმართონ, მაგრამ ვერც იქ იპოვნიან ამ სიტყვის ახსნას. მე კიდევ თუნდა დაგენაძლევებით, რომ არც ბ-ნ ნათაძემ იცოდა, რომ ჯაყვას დასაკუჰვს დანას ეძახიან გურიაში, თორემ ლექსიკონში მაინც ჩაურთავდა. მაშ რიღასთვის ჩაურთო ჯაყვაო, იკითხავთ. ალბად პროვინციალურ სიტყვების ცოდნა უნდა გამოეჩინა. ვითომდა აგრე-კი ნუ მიყურებთ, ქართველთა სიტყვიერება ხელში მიჰირავსო. მაგრამ ბ-ნმა ნათაძემ რაც დაიპირა, ამას თქვენის კეთილის თვალითა ჰხედავთ ეხლა...

ნათარგმნს იგავში „ვირი და მგელი“ ასეთს სიტყვებს შეჰხვდებით: „მგელმა პირი მიჭყო, უნდა ამოეღო“ (50). თუმცა ამ წინადადებას თავსა და ბოლოს წერტილები უსხედს, მაგრამ მკითხველი ვერას გაიგებს, რის თქმა უნდოდა უენო ავტორს. ხომ გახსოვთ, ვირი რომ შეევედრა მგელს—ქაჩაჩში ლურსმანის ნატეხი დამრჩა და ამომიღეო... და სხვ. ხოლო „მგელმა პირი მიჰყო“... სულ უგვანოდ, ენის უცოდინარად არის ნახმარი. „მგელმა პირი მიჰყო და ლაზათიანად გამოლანძღა“ შეიძლება ითქვას, მაგრამ პირი მიჰყო, უნდა ამოეღო“-ო, ბ-ნ ალექსანდრე ნათაძის მეტი არავინ იტყვის ქართველებში.

სიტყვის გაჭიანურება იქ, სადაც მოკლედ და მარტივად შეიძლება აზრის გამოთქმა, არავის მოეწონება, მაგრამ ასეთი უგვანო საქციელი პირველ დაწყებითს სახელმძღვანელოში-კი ყოვლად დასაძრახ-დასაგმობია...

„ძროხა და ძაღლში“ ასეთი სიტყვებია: „შე გულ-ქვავო, შენა, რათა გაქვს იმდენათ შურიანი გული, რომ შენთვის ურგები თივაც-კი არ გემეტება მშიერი ძროხისთვის“. როგორ მოგწონთ ძროხის ენა-წყლიანობა?!.

ლექსი „მგელი და ვირი“ (51გვ.) მგონია ხალხურია, მაგრამ აქაც, როგორც „კურდღელში“, ენა ყოვლად უგვანოა. მაგ.,

წამოგაწვინო მინდორზედ,
ამოგიტრიხო (?!) თვალიო (52).
მე სხვა ჯიშისა ვარიო,
ქალაქით მომიტანია
სამნი (?) მარილის ქვანიო. და სხ.

ლექსში „კატის ომი“, ასეთი ალაგია:

თქვე წუწკო, ქონის პარიავ,
არა ხართ შესაბრალები!

ეს მხოლოობითისა და მრავლობითის რიცხვების ერთმანეთში დარევა საუცხოვოა. არც ეს არის ურიგო:

ეს მიაყვირა ციცუნამ,
და ომი იწყო მალები.

აბა ცოტა ქვევით კიდევ მობრძანდით ჩემო მკითხველო, იმედი მაქვს უფრო კარგს სანახავებსა ჰნახავთ და ამიტომ არც დამემდურებით. აი თუნდა იმავე 58 გვერდზედ.

„გენაცვა შავო კამეჩო,
რა დაგიშავე შენზედა... კარგია განა?!.

ან კიდევ ეს ალაგი ლექსში „მამალი“.

„მამალო, ფერათ ფრთიანო,
აბრეშუმს გიგავს წვერია.

ეს „ფერათ ფრთიანო“ თუმცა საუცხოვოდ არის ნათქვამი, მაგრამ ჩემთვის და, თუ არ გეწყინებათ, მკითხველო, შენთვისაც ცხრაკლიტულში შენახული საიდუმლოებაა. გთხოვთ ამ ლექსს ქვეით ნუღარ ჩაიკითხავთ, თორემ უფრო უკეთესი ჩიქორთული შეგხვდებათ.

„მელია და წერო უმსგავსის ქართულის ენით არის ნათარგმნი. ძალიან თავი რომ არ მოგაბეზროთ, ნება მომეცით ორი ალაგი მოვიყვანო ამ „ნაწარმოებიდგან“. „მელია ენით სთვლემფავდა და წერო-კი რას შესჭამდა თეფშზედ“? იქნება ყურებითაც შეეძლოს მელიას თვლეფა?.. (თუ თქვლეფა)?!.

„წერო მადიანათ შეექცეოდა, მელიამ-კი ტუჩი ვერ ჩასტია, რას მიირთმევდა“... რა პროზაა!..

„კრუხმა სცა ხმალი ფრანგული,
წავიდა სისხლის გუბია“.

აქ ქართული ძალიან ჰკოჭლობს, რადგანაც სისხლის გუბე შეიძლება დადგეს და არა წავიდეს; თუ წასვლა სდომებოდათ, უნდა ეთქვათ: წავიდა სისხლის ღვარიაო...

„მელია და თხა“ ში ბ-ნი ნათაძე სწერს (85 გვერ.) „მოვიდა მელია, ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, თხას შიშით თვალი დაუბნელდა“. სრულიად უვარგისი ქართულია. ჩვენებურად, ქრისტიანულად, ასე ითქმის: „მოვიდა მელა და ერთი ასეთი მგელი მოიყვანა, რომ თხას შიშისაგან თვალთ დაუბნელდა“. იქვე სწერს. „გაუწყრა ღმერთი, მგელი ხვავზე შედგა, წამოხტნენ ძაღლები და მელა და მისი მოწამე ისე გახადეს, რომ შარშანდელიც დაავიწყეს, არამც თუ წლევანდელი ეშოვნეთ“. ძნელია კაცმა ამ წინადადებას თავი და ბოლო გაუგოს, ამიტომ მეც თავს ვანებებ.

ლექსი. „მუხა“ ყოვლად უვარგისია, რადგანაც შიგ დიდი ლოგიკური შეცდომაა, მაგრამ ამაზედ შემდეგ...

„ოთხი ნატვრა“-ს თარგმანი გაჭიანურებულია, რის გამო ამ აბავს აკლდება თავისი ძალა და სიმშვენიერე. მაგალითად, „სიხარულით გული უცემდა“, „ისე აღარ(ა) თბილოდა, როგორც ზაფხულში“, „მათი მოწყვეტა გულს უხალისებდა“ და სხ... „ზამთარი დიდი ნაბიჯით გვიახლოვდება“. სოფლელი ყმაწვილისათვის ძნელად გასაგებია...

107 გვერდზედ სწერია: ვეფხვი შეშინდა, მრჩეველებს აღარა ესმინა რა და სხ... მკითხველო, როგორ მოგწონს ეს „აღარა უსმინა-რა...“?

გზაზედ კაცს ერთი უსინათლო და უწინამძღვრო გლახაკი შემოეყარა, ჯოხის ცეცებით პოვებდა გზასა. სთქვა თვალ-ხილულმა: ერთი უნდა გამოვცადო, ეს ბრმა როგორი კაციაო?“ წავიდა მის პირის-პირ და ზედ შეეტაკა და დაიძახა“... და სხ.

თუ სხვებიც დამეთანხმებიან, მშვენიერი საყმაწვილო ენაა, მომეტებულად ეს „პირის პირ“. „ცეცებაზედაც“ ცოტა გული მეთანაღრება: მე მგონია ცოცება და ცეცება სხვა-დასხვა სიტყვაა. მაგალ., იტყვიან: „ეს კაცი თვალებს აცეცებს“ და „პატარა ბიჭი სცოცავს“. ზემოხსენებულ წინადადებაში რომლის სიტყვის ხმარება უფრო კანონიერი იქნება? ამავე ამბავში „ბრმა და თვალ-ხილული მე-124 გვერდზედ ვკითხულობთ. მეც ბრმა ვარო და ჯოხით ვალ, უცნაურათ მეტაკე, ნუ მაბრალებო“. მეგონა, ეს შემოკლებული ფორმა „ვალ“ რითმის გულისათვის არისმეთქი, მაგრამ არც რო რითმა გამოდის!?. მეც ბრმა ვარო

და ჯოხით ვალ
მეც ბრმა ვარო—
ჯოხით ვალო რო ყოფილიყო,

კიდევ არა უშავდა-რა, მაშინ პროზა ლექსით გამოვიდოდა...

„ბავშვების მოკეთის“ ენის სიმშვენიერის მაგალითები შეგვეძლო ბევრიც სხვა აღგვენიშნა, მაგრამ ნათქვამიც საკმარისად მიგვაჩნია, რომ დავასკვნათ: ახალი სახელმძღვანელო ენის მხრივ უვარგისია და დედა ენას ვერ შეასწავლის.

დასკვნა. საყმაწვილო სახელმძღვანელოს შედგენისათვის მარტო სურვილი და განდიდების მადა არა კმარა, ამისათვის ბევრი რამ სხვაც არის საჭირო და უპირველესად ენის ცოდნა, რაც ბ-ნს ნათაძეს აკლია.

ი. გ—რი

## ახალი წიგნი

—

დღეს მოგვივიდა გაზ. „ახალ მიმოხილვის“ რედაქციისაგან გამოცემული წიგნაკი რუსულს ენაზედ: „Записки и статьи о введеніи

земскихъ учрежденій въ Тифлисской губерніи“. წიგნში მოთავსებულია თავ. გ. მ. თუმანოვის მიერ შედგენილი წერილები კავკასიაში ერობის შესახებ და რამდენიმე წერილი, ამავე საგნის გამო დაწერილი და დაბეჭდილი გაზეთ „ახალი მიმოხილვა“-ში. წიგნაკი საკმაოდ ლამაზად არის გამოცემული, შეიცავს 78 გვერდს და ჰღირს გაგზავნით 30 კაპ., ხოლო გაუგზავნელად 25 კაპ.

## წერილი რედაქციის მიმართ

უმორჩილესად გთხოვთ, ...

თქ. კონსტანტინე გურიელს, რომელმაც ქუთაისში და სხვაგანაც შეაგროვა ფული და წიგნები შემოქმედის წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, რომელიც იმისავე დაარსებულია, მადლობასავე გწირავთ შემომწირველთაც. აქვე მოგვყავს იმათი სია: თ-დ. ს. წერეთელი—5 მ., თ-დ. მ. აბაშიძე—3 მ., თ-დ. ჯანსუღ დადიშქელიანი—3 მ., კნ. ელისაბედ წერეთელისა—3 მ., კნ. მარია წერეთლისა—2 მ., კ. წერეთელი—3 მ., სტურნინ-ეზერსკი—3 მ., ფრ. წერეთელი—3 მ., ნესტ. ბეჟანიშვილი—3 მ., ს. ტულუში—3 მ., ნიკოლოზ ლოლობერიძე—3 მ., გ. ი. ფიცხელაური—2 მ., ეფ. მგალობლიშვილი—2 მ., რომ. მახარაძე—2 მ., პავ. თუმანიშვილი—2 მ., ბ. კ.—2 მ., თ-დ. ანტ. მიქელაძე—1 მ., ნიკ. გობეჯიშვილი—1 მ., ნ. ბოცვაძე—1 მ., იუსტ. მგალობლიშვილი—1 მ., გ. კანდელაკი—1 მ., ნესტ. ქვარიანი—1 მ., სოლ. წერეთელი—1 მ., პლ. მდივანი—1 მ., №—1 მ., კოტე ბაქრაძე—1 მ., კოწია იოსელიანი—1 მ., №—1 მ., ბ. ლოსაბერიძე—1 მ., დ. ჩიქვაიძე—1 მ., დ. თუმანიშვილი—2 მ., დავით ბაქრაძე—2 მ. 50 კ., ფ. მგელაძე—50 კ., ბ. კეშელავა—1 მ., ზ. ოჰაბეზოვი—1 მ., ლევან ასათიანი—50 კ., ნესტ. ხიდირბეგიშვილი—1 მ., ამირინდო წერეთელი—1 მ., სამ. ფანიძე—50 კ. ლომ. მაჭავარიანი—1 მ., ნიკო გამრეკელი—20 ცალი წიგნი, ძმ. ქილაძენი—ხუთი ცალი წიგნი, ილია ჭყონია—6 ცალი სამეურნეო წიგნი, ქუთაისის წიგნების გამომცემელი ამხანაგობის გამგეობა—13 ცალი წიგნი.

შემოქმედის წიგნთ-საცავის გამგეობა.

---

# განცხადებანი


გამოვიდა და ისყიდება ახალი ქართული წიგნები:

1) „ბუნება და ცხოვრება“, თხზ. ილია ალხაზიშვილისა, ფასი გაგზავნით 60 კაპ.

2) „ჩვენს ქალებს“, ფრიად საჭირო წიგნი ჩვენი ქალებისათვის—20 კაპ.

3) „ახალი საუკეთესო ფასი ვენახების გაშენებისა საქართველოში“—10 კაპ.

4) ალბომი „ქართველთა ტომი“ ასის სურათით, ყდით და გაგზავნით 3 მან. 40 კაპ.

ადრესი: ტფილისი, ივანე ჰალეს ძე როსტომაშვილს. 3—166—1.

## სასწავლებელი და პანსიონი

### გ. ლ. კუზანოვისა.

მიიღებს მოსწავლეებს 25 აგვისტოიდგან. სწავლა დაიწყება 1 სექტემბრიდგან.

მისამართი: და ვინეის ქუჩების კუთხეში, სახლი ყორღანოვისა და ჯანშიევისა, № 12. (7—170—5)

## ცნობილ ფაბრიკების



როიალები



პიანინო



ფის-ჰარმონიანი, სკრიპკები, გიტარები, ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხვ. და სხ.



ყოველ ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წერილობით გადახდით.

ახალი პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო იარაღებისა

ბ. მ. მირიმანიანისა

რომლისგანაც სიომპოზიტორო სამუსიკო საზოგადოება ყოველ საქირო სამუსიკო იარაღი მოიწოდება.

Тифлисъ. Музыкальное депо Б. М. Мириманяна. Дворцовая ул. (25)

## საყურადღებოა ავადმყოფებისთვის

თინაბ ქარიძი ატარებს (ან შემოგზავნით), რომელნიც ქალთა დასცემენ, კუჭის ავადმყოფობას, ბუასილს, სისხლის მოწამვლას და სხვა ავადმყოფობას, ... (Кузьмичева трава) ... № 104; ... (4—171—2)

## სასწავლებელი და პანსიონი

კოლეჟსკი ასესორის ივ. ზ. ტერ-სტეფანოვისა ამზადებს გიმნაზიებისა და სხვა სასწავლებლებისათვის და ასწავლის აგრეთვე ბუღალტერიას. ფასი თვეში 5 მანეთიდგან, სწავლის პანსიონში 15 მანეთიდგან. ბუღალტერიის კურსი 25 მანეთიდგან. ვარანცოვის ძეგლთან, ელისაბედის ქუჩა, № 30. (10—157—9)

## ილევა ქირით

ნიკოლოზის ქუჩაზე, საგინაშვილის სახლში, № 21.

შუა სართულში ათი ოთახი, წყლით, სამზარეულო და სხვა მოწყობილობით და ზემო სართულში ხუთი ოთახი თავისის მოწყობილობით. 10—5











ვერცხლისა ოქროსი ტფილ. გამოფენა.

# ქარხანა

ზეთიანის საღებავების (კრასკებისა)

## ა. ა. თუთაევისა

პატივცემული ტფილისისა და თითქმის მთელის ქართლ-კახეთის საზოგადოება დარწმუნდა, რომ ჩემის სამეურნეო ქარხნიდგან (заводъ красокъ) გამოსული მით საუკეთესოდ მომზადებული საღებავები (კრასკები). დაცვა რა ზედმეტი, ვამზადებ ყოველს ნაირს საღებავს, ისე როგორც კარ-ფანჯრებისას, და სხვათა, მხოლოდ ამ წლობით განსხვავდება იმაშია, რომ ზეთით არულ კრასკებს ფუთ მანეთ ნაკლებად ვყიდით ნაღდზედ.

უმთავრესი ქარხანა გასაყიდის კრასკებისა გადატანილი მიხაილოვის ქუჩაზედ, სადაც პუშკინისეულის ბაღთან, სახლი № 97, და წვრილად გასაყიდად ერთი განყოფილება მაქვს იარმუკაზედ, სადაც აქამდის ვვაჭრობდი, იმის პირდაპირ, ქუთაისის სასტუმროს ქვეშ, და მეორე განყოფილება—ავლაბარში, სირაჯხანის თავზედ.

ყველა საქონლის ყიდვის მსურველთ მიმართოთ პირდაპირ განყოფილებას, რადგანაც ხელოსნებს, თვისის პირადის ანგარიშების გამო მსყიდველებს მიჰყავთ იქ, სადაც უფრო ხელეჰსაძლებელს აძლევენ.

ამით გარდა, ვკისრულობ ყოველ გვარ რემონტებს სახლებისას. საქონელი სხვა ალაგებშიაც გაიგზავნება ბეის გამოგზავნით 20% ფას-დადებულ.

ა. თუთაევი (—6.—10)

Съ 1-го ноября 1897 года

БУДЕТЪ ВЫХОДИТЬ ВЪ Г. КІЕВѢ

*еженедѣльная газета*

# „РОССІЯ и АЗІЯ“.

Подписная цѣна въ годъ безъ доставки и пересылки 5 р.; съ доставкой и пересылкой 6 руб., за границу 7 руб., на полгода безъ доставки 3 руб., съ доставкой и пересылкой 4 руб., за границу 5 р.

Краткая программа изданія: 1) передовыя статьи, посвященныя еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и русской политикѣ на Востокѣ. 2) Извѣстія съ Востока. 3) Русскіе инородцы (евреи, инородцы Волги, Финляндіи и Крыма). 4) Недѣльная хроника русскихъ окраинъ. 5) Сношенія Россіи въ Востокомъ. 6) Научно-литературный отдѣлъ: повѣсти, романы, стихотворенія, драматическія произведенія оригинальныя и переводныя, популярныя изслѣдованія по еврейству, Кавказу, Сибири, Туркестану и Востоку, ихъ антропологіи, переводы древне-восточныхъ произведеній, критика и библіографія и т. п.

Въ газетѣ принимаютъ участіе лучшіе специалисты и знатоки Азіи.

Подписка принимается отъ иногороднихъ по адресу: Кіевъ, Университетъ св. Владимира, Алексѣю Николаевичу Грену.

Редакторъ-Издатель: привать-доцентъ А. Н. ГРЭНЪ.

(4—გ.—1).

## სამეურნეო კურსები

ქალებისა და ვაჟებისათვის

(წელი მეთექვსმეტე)

კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დასაჭიროების მცოდნენი.

სწავლის გათავების შემდეგ ატესტატები ეძლევათ. 1897—8 სასწავლო წელს შემდეგი საგნები იქნება სასწავლებელი: 1) საკომერციო გამოანგ., 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხგალტერია (მარტივი, ორიც და საბანკო), 4) არითმეტიკა სახელმძღვანელოთ, 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) საკანცელარიო და სათანადო წესდებანი, 7) მაწერალ-წერა და წერა გარკვეული და შენიანი (исправленіе дурного почерка).

სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდგან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდამ, ყოველ დღე დილის 10 საათიდამ თერთმეტამდე და საღამოს 4 საათიდამ 8 საათამდე, კურსების სადგომში, სასტუმრო ხალხის ფერდობისა № 9 სერგიევისა და ხანაშვილის ქუჩაზედ, ავდგომის პირდაპირ.

პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და აგრეთვე წიგნის მაღაზიაში საბანკირო კანტორაში, სიონის ქუჩაზედ.

ვინც ქალაქ გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიმართოს კურსების დამაარსებელს ს. ბ. მანუელიანცს, ტფილისს. (24—127—24)

წლიურ

# „მეურნე“

გამოვა იმავე პროგრამით, როგორც აქამდე გამოდიოდა.

წელს რედაქცია წინანდელზედ ერთგულად ეცდება გამოაქვეყნოს საქართველოს სასოფლო მეურნეობის საგნები, როგორც უმთავრესი დარგი თავისი პროგრამისა, იმავ დროს უფრო მეტს ყურადღებას მიაქცევს ეკონომიურს და სასწავლო ნაწილს ქურნალისას. თანამშრომლებს მიმატებს მეურნეობაში ცნობილ პირთაგან სრულ ცოდნაზე. რომ 1897 წლის გაზეთი ... დად შეასრულებს მართლად გამოსვლის პირობებს ... კვირიანად საზოგადოებას.

ჟურნალის გამოწერა მსურველმა უნდა მიმართოს: ქუთაისში „მეურნის“ რედაქციას, გუგუნის ქუჩის გადასახვევში, ჩუხუის სახლში, № 10; „მეურნის“ რედაქციის სტამბას, თბილისის ქუჩაზე, ნ. სვანიძის მაღაზიას, გუბერნიის სახლის პირდაპირ.

რედაქციას მოსვლის წლისათვის მზადა აქვს შემდეგი წიგნები 1) ვაზი, მისი მოშენება და მოვლა, პროფესორის ვ. მურამიძისა; 2) მეფუტკრეობა ქუთაისის პრომ-მორიგე, ბ. დგუბლისა; 4) კოოპერატივები საზოგადოებისა, ი. ზედაშვილისა და სხ.

მეურნის ფასი—წლით 4 მანეთი, ნახევარის წლით 2 მანეთ ნახევარი.

წლიურ ხელისმომწერთ დამელეველად მიეცემათ ხუთ-ხუთი ძირი ამერიკული ვაზისა

ფოსტის ადრესი: Кутаисъ. Редакція „МЕУРНЭ“ (5—5)